სკოლის მოსწავლეებში კიბერთავდასხმებისა და ონლაინ ძალადობის გენდერული განზომილება

2025

სარჩევი

სკოლის მოსწავლეებში კიბერთავდასხმებისა და ონლაინ ძალადობის გენდერული განზომილება 3

კვლევის მოკლე შინაარსი 3

რეკომენდაციები 4

შესავალი 4

1. კვლევის მეთოდოლოგია მონაცემების ანალიზი 5

1. ონლაინ ძალადობის გამოცდილება, ფორმები და მათი გენდერული თავისებურებები 5

1.1. ონლაინ ძალადობის გამოცდილება 5

1.2. ონლაინ ძალადობის ყველაზე გავრცელებული სოციალური პლატფორმები 6

1.3. ონლაინ ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმები 6

2. კიბერძალადობის გავლენა და მხარდაჭერის მექანიზმები 8

2.1. ონლაინ ძალადობის გავლენა 8

2.2. მხარდაჭერის მექანიზმები 9

3. პრევენცია და რეაგირება 11

3.1. ახალგაზრდების ინფორმირებულობა დახმარების სერვისების და მხარდაჭერის გზებზე 11

3.2. ონლაინ ძალადობის პრევენცია და რეაგირება 12

დასკვნა და რეკომენდაციები 13

სკოლის მოსწავლეებში კიბერთავდასხმებისა და ონლაინ ძალადობის გენდერული განზომილება

კვლევის მოკლე შინაარსი

კვლევა შეეხება ახალგაზრდებში ონლაინ ძალადობისა და კიბერთავდასხმების გამოცდილებას, მის გენდერულ განზომილებებს, გავლენას მათ მდგომარეობაზე და იმ მხარდაჭერის მექანიზმებს, რომლებიც მათ ამ გამოწვევებთან გამკლავებაში ეხმარება. რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა **ქალთა ფონდი „სოხუმის“** მიერ და მოიცვა **192 მოსწავლე დასავლეთ საქართველოს 10 მუნიციპალიტეტში**[1]**.** კვლევის მონაცემებით, **გამოკითხულთა 25%-ს ონლაინ ძალადობის პირადი გამოცდილება ჰქონდა**, ხოლო ძალადობის გამოვლენის ფორმებსა და ინტენსივობაში **გენდერული განსხვავებები აშკარაა**.

- **ონლაინ ძალადობის ყველაზე გავრცელებული პლატფორმებია** TikTok (48%) და Facebook (47%) - გოგონები, ძირითადად, ამ პლატფორმებზე აწყდებიან ძალადობას, ხოლო ბიჭები - (41%) ონლაინ თამაშებში.
- **ყველაზე გავრცელებული ძალადობის ფორმებია:** შეურაცხმყოფელი ჭორების და კომენტარების გავრცელება (73%), **გარეგნობასთან დაკავშირებული დამცინავი კომენტარები (49%) და სექსუალური შევიწროება, რომელიც, ძირითადად, გოგონებს** (34.35%) ეხებათ, ბიჭებში კი 14.75%-ს შეადგენს.
- **ბიჭები უფრო ხშირად ხდებიან ჰაკერული თავდასხმების (31.15%) და ფულის გამოძალვის (19.67%) მსხვერპლნი**, რაც, შესაძლოა, ონლაინ თამაშებში მათ აქტიურ ჩართულობას უკავშირდებოდეს.
- **ონლაინ ძალადობას მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ზეგავლენა აქვს**: 77.6%-ს უვითარდება შფოთვა და დეპრესია, 56.6%-ს აქვს თვითშეფასების პრობლემები, ხოლო 42.2%-ს - შიში ონლაინ აქტივობების მიმართ.
- **მხარდაჭერისთვის ყველაზე ხშირად მიმართავენ მეგობრებს (56.3%) და მშობლებს (49.5%)**, თუმცა 30.2%-ს არავისთვის მიუმართავს. მასწავლებლებს (14.5%) და მანდატურებს (8.4%) მოსწავლეები არ აღიქვამენ სანდო მხარდაჭერის წყაროდ.
- გენდერული ანალიზი აჩვენებს, რომ **გოგონები უფრო ხშირად უპირისპირდებიან დადანაშაულების პრაქტიკას, რის გამოც მათთვის მხარდასაჭერად მიმართვა უფრო რთულია, განსაკუთრებით - მშობლებისა და მასწავლებლისთვის.**

კვლევა ცხადჰყოფს, რომ ონლაინ ძალადობის მასშტაბი და ზეგავლენა ერთობლივ ძალისხმევას მოითხოვს, სადაც განათლება, მხარდაჭერის მექანიზმები და სამართლებრივი ჩარჩო უნდა უზრუნველყოფდეს კომპლექსურ და ეფექტიან რეაგირებას.

1 წყალტუბო, თერჯოლა, სამტრედია, ჩოხატაური, ქობულეთი, სენაკი, ზუგდიდი, წალენჯიხა, ხობი, ვანი.

რეკომენდაციები

- კიბერუსაფრთხოების საკითხებზე განათლების გაძლიერება მოზარდების დაცულობისა და პასუხისმგებლიანი ონლაინ ქცევის ფორმირებისთვის.
- მშობლების და პედაგოგების ჩართულობის გაძლიერება, რათა უზრუნველყონ მხარდამჭერი და უსაფრთხო გარემო.
- ონლაინ პლატფორმების რეგულაციების და სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესება, რათა ეფექტიანად მოხდეს კიბერთავდასხმების პრევენცია და რეაგირება.

შესავალი

კიბერთავდასხმები და ონლაინ ძალადობა თანამედროვე ტექნოლოგიურ გარემოში მზარდი პრობლემაა, რაც განსაკუთრებით მწვავედ აისახება მოზარდებზე. ინტერნეტ-პლატფორმები, რომლებიც ხელს უწყობს სოციალური კომუნიკაციის და განათლების გავრცელებას, ასევე ქმნის ახალი ტიპის საფრთხეებს. ონლაინ ძალადობის ფორმები მრავალფეროვანია, მოიცავს **შეურაცხმყოფელ კომენტარებს, კიბერბულინგს, პირადი მონაცემების ბოროტად გამოყენებას, მუქარას, სექსუალურ შევიწროებას და სხვა ძალადობრივ ქმედებებს**.

ონლაინ ძალადობას ახასიათებს რამდენიმე უნიკალური მახასიათებელი, რომლებიც მას განსაკუთრებულად სახიფათოს ხდის:

- **ანონიმურობა**: მოძალადეებს შეუძლიათ იმოქმედონ ანონიმურად, რაც ამცირებს პასუხისმგებლობის შიშს და ხელს უწყობს აგრესიული ქცევის გამოვლენას.
- **დაუსჯელობის განცდა**: შესაბამისი სამართლებრივი რეგულაციების არარსებობის ან მათი სუსტი აღსრულების გამო, მოძალადეებს ხშირად აქვთ დაუსჯელობის განცდა, რაც ზრდის ძალადობის შემთხვევების რაოდენობას.
- **შეუზღუდავი გავრცელება**: ინტერნეტის გლობალური ხასიათის გამო, ონლაინ ძალადობა სწრაფად ვრცელდება და შეუძლია მიაღწიოს ფართო აუდიტორიას, რაც ზრდის მსხვერპლზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას.

ეს მახასიათებლები ონლაინ ძალადობას **მრავალგანზომილებიან და რთულად სამართავ პრობლემად აქცევს**, რომლის დაძლევაც მოითხოვს **სისტემურ და კოორდინირებულ მიდგომას**. მისი პრევენცია და შემცირება შეუძლებელია მხოლოდ ინდივიდუალური ძალისხმევით. ამისთვის აუცილებელია **განათლების სისტემაში შესაბამისი პროგრამების დანერგვა, ოჯახებში ბავშვების ციფრული უსაფრთხოების შესახებ ცნობიერების ამაღლება და სამართლებრივი ჩარჩოს გაძლიერება**, რაც უზრუნველყოფს როგორც **პრევენციულ ღონისძიებებს**, ისე ონლაინ ძალადობის **მსხვერპლთა დაცვას და მოძალადეების პასუხისმგებლობის საკითხს**.

კვლევის მეთოდოლოგია

მოცემული რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა **ქალთა ფონდი „სოხუმის“ მიერ 2024 წლის ნოემბერში** 10 მუნიციპალიტეტის (ქუთაისი, წყალტუბო, ხონი, თერჯოლა, სამტრედია, ჩოხატაური, ქობულეთი, სენაკი, ზუგდიდი, წალენჯიხა, ხობი) სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებთან.

კვლევის მიზანი იყო **ონლაინ ძალადობის მასშტაბების, ფორმების, გენდერული განსხვავებების, მისი გავლენის და მხარდაჭერის მექანიზმების შეფასება**. კვლევა ჩატარდა **ონლაინ ანკეტირების მეთოდით**, სტრუქტურირებული კითხვარით, რომელიც მოიცავდა **ღია, დახურულ ან მრავალპასუხიანი არჩევანის შეკითხვებს.**

მონაწილეთა ასაკობრივი განაწილება:

- **12-14 წლის** – 60 მონაწილე (გოგოები – 41, ბიჭები – 19)
- **15-17 წლის** – 122 მონაწილე (გოგოები – 82, ბიჭები – 40)
- **18 წლის** – 10 მონაწილე (გოგოები – 8, ბიჭები – 2)

მონაცემების ანალიზი

1. ონლაინ ძალადობის გამოცდილება, ფორმები და მათი გენდერული თავისებურებები

1.1. ონლაინ ძალადობის გამოცდილება

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ონლაინ ძალადობის (ბულინგი, შევიწროება, მუქარა) ან კიბერთავდასხმების პირადი გამოცდილება გამოკითხულთა **25%-ს** აქვს. მიუხედავად იმისა, რომ გოგონების (25.2%) და ბიჭების (24.6%) მაჩვენებლები თითქმის თანაბარია (იხ. ცხრილი #1), ძალადობის ხასიათი და გამოვლენის ფორმები განსხვავებულია.

„მე პირადად ვყოფილვარ მსხვერპლი. გამომძალეს ჩემი პირადი მონაცემები, ველარ შევდიოდი ჩემს გვერდზე და იქედან სხვებს წერდნენ თამაშებზე. ძაან გავბრაზდი და ვინერვიულე. მერე ყველაფერი მოვაგვარე ჩემი „IT“ მეგობრის დახმარებით. უცხოელი იყო, ვინც ჩემი ექაუნთი გამომძალა თაღლითური დაპირებებით“ (ბიჭი, 16 წლის).

„ძალიან რთულია, როცა შენს ფოტოებს უნებართვოდ იყენებენ. ეს არის შეჭრა პირად სივრცეში, რამაც მძიმე გავლენა მოახდინა ჩემს ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე“ (გოგო, 15 წლის).

ცხრილი 1. ონლაინ ძალადობის გამოცდილების არსებობა გენდერულ ჭრილში

პასუხი	საერთო (%)	გოგოები (%)	ბიჭები (%)
დიახ, მაქვს გამოცდილება	25%	25.2%	24.6%
არ მაქვს გამოცდილება	75%	74.8%	75.4%

1.2. ონლაინ ძალადობის ყველაზე გავრცელებული სოციალური პლატფორმები

TikTok (48%) და Facebook (47%) ყველაზე გავრცელებული პლატფორმებია, **სადაც გოგონები ონლაინ ძალადობას აწყდებიან,** ხოლო **ბიჭები (41%)** მსგავს შემთხვევებს, ძირითადად, **ონლაინ თამაშებში** განიცდიან (იხ. ცხრილი #2).

„ხშირია facebook გვერდის გატეხვა, მისით სარგებლობა. მსგავსი ბევრი შემთხვევა შემხვედრია. იყო ისეც, რომ ჩემი ნათესავის გვერდიდან ჩემი ფოტო აიღეს და გამოიყენეს“ (გოგო, 14 წლის).

„ბევრჯერ მინახავს მსგავსი ბულინგი და ფსიქოლოგიური შეტევები ბავშვებში TikTok-დან, რაც საერთოდ არ არის სასიამოვნო და ფსიქოლოგიურად ცუდად გხდის“ (ბიჭი 16 წლის).

„ონლაინ თამაშებში ხშირად ხდება მოთამაშეების ფსიქოლოგიური ზეწოლა. ეს განსაკუთრებით რთულია მათთვის, ვინც თამაშში დიდ დროს ატარებს“ (ბიჭი, 15 წლის).

ცხრილი 2. ონლაინ ძალადობის მთავარი პლატფორმები

პლატფორმა	პროცენტი (%)
Facebook	**47%**
TikTok	**48%**
Instagram	**22%**
ონლაინ თამაშები	**22%**

1.3. ონლაინ ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმები

კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხული მოსწავლეების უმრავლესობა პირადი გამოცდილებით უპირისპირდება **შეურაცხმყოფელი ჭორების ან კომენტარების გავრცელებას (73%)**, რაც ონლაინ ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმაა. მას მოსდევს **გარეგნობასთან დაკავშირებული დამცინავი ან შეურაცხმყოფელი კომენტარები (49%)**, სადაც გოგონების და ბიჭების პროცენტული წილი თითქმის იდენტურია (იხ. ცხრილი #3).

„გარეგნობაზე დამცინავი კომენტარები ძალიან ხშირია, განსაკუთრებით TikTok-სა და Instagram-ზე. ეს განსაკუთრებით გოგონებისთვისაა რთული, რადგან ისინი მეტ ყურადღებას აქცევენ გარეგნობას" (გოგო, 16 წლის).

„ერთხელ დამემუქრნენ, თუ თამაშს არ გავაგრძელებდი, ჩემს ანგარიშს ჰაკერულად წაშლიდნენ. ეს დიდი სტრესი იყო ჩემთვის" (ბიჭი, 15 წლის).

ცხრილი 3. ონლაინ ძალადობის ფორმები გენდერულ ჭრილში

ძალადობის ფორმები	საერ-თო (%)	გოგოები (%)	ბიჭები (%)
შეურაცხმყოფელი ჭორები	73%	74.81%	70.49%
ფიზიკური ძალადობის ან მუქარის შემცველი შეტყობინებები	34%	33.59%	36.07%
აკადემიური მიღწევების ან უნარების დამცინავი კრიტიკა	20%	19.85%	21.31%
ჰაკერობა ან პირადი ანგარიშების უკანონოდ გამოყენება	30%	29.77%	31.15%
გარეგნობასთან დაკავშირებული შეურაცხყოფა	49%	52.67%	40.98%
არასასურველი სექსუალური ხასიათის შეტყობინებები	28%	34.35%	14.75%
გამუდმებული, არასასურველი კონტაქტი ან თვალთვალი	8%	7.63%	8.2%
პირადი ფოტოების ან ინფორმაციის უნებართვოდ გაზიარება	18%	16.79%	21.31%
ინტიმური ხასიათის სურათების ან პირადი ინფორმაციის მოთხოვნა	17%	16.79%	18.03%
ფულის გამოძალვა ან მუქარით მანიპულირება	14%	10.69%	19.67%

მონაცემების გენდერული ანალიზით გამოიკვეთა, რომ **გოგონებს გაცილებით ხშირად ემუქრებათ სექსუალური შევიწროება (34.35%)**, რაც **ბიჭებში თითქმის ორჯერ ნაკლებია (14.75%)**. ამ ტენდენციას მნიშვნელოვანი სოციალური საფუძვლები აქვს: სექსუალური შევიწროება, როგორც ფენომენი, დიდწილად განპირობებულია კულტურული ნორმებით, რომლებიც ქალის სხეულსა და ქცევას საჯარო განხილვის საგნად აქცევს. **ონლაინ სივრცეში ეს ტრენდები კიდევ უფრო ძლიერდება, რადგან ციფრული ანონიმურობა მოძალადეებს მეტ შესაძლებლობას აძლევს, გაავრცელონ მავნე ნარატივები გოგონების შესახებ.**

გოგონებზე კიბერბულინგის გავრცელებული ფორმაა **გარეგნობასთან დაკავშირებული შეურაცხყოფა (52.67%)**, მაშინ როცა **ბიჭები მსგავს შემთხვევებს 40.98%-ში აწყდებიან**. ეს განსხვავება აიხსნება **სოციალური მედიის იმიჯზე ორიენტირებული კულტურით, რომელიც განსაკუთრებით მაღალ ზეწოლას ახდენს გოგონებზე, აიძულებს მათ, შეესაბამებოდნენ სილამაზის დადგენილ სტანდარტებს და მუდმივი კრიტიკის ობიექტად აქცევს.**

ბიჭები, თავის მხრივ, უფრო ხშირად აწყდებიან **ფულის გამოძალვის (19.67%)** და **ჰაკერული თავდასხმების (31.15%)** შემთხვევებს, რაც, შესაძლოა, ონლაინ თამაშებში მათი უფრო მაღალი ჩართულობით აიხსნას, სადაც კიბერუსაფრთხოების რისკები მეტადაა გავრცელებული. ასევე, **ფიზიკური ძალადობისა და მუქარის შემცველი შეტყობინებები ბიჭებში (36.07%) უფრო ხშირია, ვიდრე გოგონებში (33.59%)**, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს იმ კულტურულ ნორმებს, რომლებიც ბიჭებს უფრო გამძლეებად და კონფრონტაციისთვის „მზადყოფნაში“ მოიაზრებენ.

2. კიბერძალადობის გავლენა და მხარდაჭერის მექანიზმები

2.1. ონლაინ ძალადობის გავლენა

კვლევის მონაცემების მიხედვით, ონლაინ ძალადობა მნიშვნელოვან ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს მოზარდების ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე და სოციალურ ფუნქციონირებაზე. ყველაზე გავრცელებული გავლენებია:

ცხრილი 4: ონლაინ/ციფრული ძალადობის ზეგავლენა ახალგაზრდებზე

ონლაინ ძალადობის გავლენა	საერთო (%)
ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები (შფოთვა, დეპრესია)	**77.6%**
დაბალი თვითშეფასება	**56.6%**
შიში ონლაინ აქტივობების მიმართ	**42.2%**
სოციალური იზოლაცია	**44.8%**
აკადემიური სირთულეები	**17.7%**

ეს მონაცემები ცხადჰყოფს, რომ კიბერბულინგი და ონლაინ ძალადობა არა მხოლოდ ცალკეული ინციდენტია, არამედ სისტემური პრობლემაა, რომელიც მოზარდების ცხოვრების მრავალ ასპექტზე ახდენს გავლენას. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია **ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები (77.6%)**, რაც მოზარდთა უმრავლესობაში შფოთვითი აშლილობის და დეპრესიული მდგომარეობის ზრდაზე მიანიშნებს (იხ. ცხრილი #4). როგორც ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს:

„ონლაინ ძალადობა არის მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანის ფსიქოლოგიურ მდგომარეობასა და უსაფრთხოებაზე. ადამიანები ხშირად ინარჩუნებენ ანონიმურობას, რაც უფრო ართულებს ამ საკითხის გადაწყვეტას. ჩემი აზრით, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ ყველამ პასუხისმგებლობა გამოვიჩინოთ ონლაინ კომუნიკაციაში და მხარდაჭერა გავუწიოთ მათ, ვინც ძალადობის მსხვერპლია“ (ბიჭი, 16 წლის).

2.2. მხარდაჭერის მექანიზმები

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ძალადობის მსხვერპლი მოზარდები ყველაზე ხშირად მეგობრებს (56.3%) ან მშობლებს (49.5%) მიმართავენ მხარდაჭერისთვის. თუმცა **30.2% საერთოდ არავის მიმართავს** (იხ. ცხრილი #5), რაც, შესაძლოა, უკავშირდებოდეს სტიგმას, სირცხვილის გრძნობას ან შესაბამისი დახმარების არქონას.

ცხრილი 5: ვის მიმართავენ ახალგაზრდები ონლაინ ძალადობის შემთხვევაში

ვის მიმართავენ?	საერთო (%)	გოგოები (%)	ბიჭები (%)
მეგობრებს	56.3%	56.49%	55.74%
მშობლებს	49.5%	52.67%	42.62%
მასწავლებლებს	14.5%	14.5%	13.11%
სამართალდამცველებს	9.92%	9.92%	8.2%
მანდატურს	8.4%	8.4%	9.84%
არასამთავრობო ორგანიზაციას	9.16%	9.16%	14.75%
არავის	30.2%	32.06%	26.23%

საყურადღებოა მოსწავლეთა დაბალი მიმართვიანობა პედაგოგებისადმი (14.5%). ეს შეიძლება აიხსნას მასწავლებლების მიერ ამ საკითხებზე ნაკლებად საუბრის პრაქტიკით, ასევე მოსწავლეთა შიშით, რომ მათ პრობლემას სათანადოდ არ მოუსმენენ, ან არ დაიჯერებენ. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით:

„მასწავლებლებს მსგავსი თემები არც კი აინტერესებთ, ამიტომ ვერ ვხედავ აზრს მათთვის დახმარების თხოვნაში“ (გოგო, 16 წლის).

გენდერული ანალიზი აჩვენებს, რომ **გოგონები უფრო ხშირად უპირისპირდებიან დადანაშაულების პრაქტიკას, რის გამოც მათთვის უფრო რთულია მხარდაჭერისთვის მიმართვა:**

„ზოგჯერ მშობლები ჩვენ გვთვლიან დამნაშავეებად: თქვენ გამოიწვიეთ, გოგო ხარ და მოკრძალებული იყავი, მაგრამ ძალიან რთულია, გაუმკლავდე მოძალადეს, რომელ სივრცეშიც არ უნდა იყოს ის, დაუცველი ხარ“ (გოგო, 15 წლის).

თუმცა არსებობენ მოზარდებიც, რომლებმაც სწორედ მშობლების მხარდაჭერით შეძლეს პრობლემის მოგვარება:

„ხშირად არ ვხმარობ Facebook-ს, მაგრამ ერთ დღეს გადავწყვიტე გადამეხედა, რა ხდებოდა და მხვდება ერთი გოგოს ესემესი: „მომწერე. თუ დამბლოკავ, შენს ნუდებს ჩავუყრი შენს მშობლებს“. მე შემეშინდა, მიუხედავად იმისა, რომ ნუდები არ გადამიღია, რა თქმა უნდა, დავბლოკე და მშობლებს ვანახე. დედამ და მამამ მითხრეს: „რატომ დაბლოკე, ჩვენ ვიცით, რომ შენ ნამდვილად არ გადაიღებდი ნუდებს“, ბლოკი ამახსნევინეს და მისწერეს: „შეგიძლია ჩაუყარო“. იმ გოგომ დამბლოკა. მე კი უდიდესი შვება ვიგრძენი, რადგან დედ-მამა გვერდით დამიდგა და ყველაფერი მოაგვარეს“ (ბიჭი, 16 წლის).

ცხრილი 6: მხარდაჭერის მიღება სკოლისგან ან მშობლებისგან

მხარდაჭერის მიღების სტატუსი	**საერთო (%)**
დიახ, მივიღე მხარდაჭერა/დახმარება	34.4%
არა, არ მიმიღია მხარდაჭერა/დახმარება	4.7%
არასდროს მიმიმართავს სკოლისა ან მშობლებისათვის ამ საკითხზე	60.9%

მონაცემების თანახმად, მოსწავლეების 60.9%-ს არასდროს უთხოვია დახმარება სკოლისთვის ან მშობლებისთვის (იხ. ცხრილი #6), რაც მრავალი მიზეზით შეიძლება აიხსნას. მოზარდებს, შესაძლოა, ჰქონდეთ უნდობლობა ან ეჭვი, რომ მათი პრობლემები სათანადოდ იქნება აღქმული, ან ზოგიერთი შიშობდეს, რომ დახმარების თხოვნის შემთხვევაში თავად იქნებიან დადანაშაულებულნი.

კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების **73%-ის აზრით, მიმართვის შემთხვევაში მხარდაჭერა თანაბარია, როგორც გოგონების, ასევე ბიჭების მიმართ. ხოლო 27%-ს მიაჩნია, რომ მხარდაჭერის ხარისხში გენდერული განსხვავებები არსებობს** (იხ. ცხრილი #7). ამ განსხვავებებს განაპირობებს საზოგადოებაში გავრცელებული სტერეოტიპები და დამოკიდებულებები.

ცხრილი 7: განსხვავებები გოგონების და ბიჭების მხარდაჭერის ხარისხში

განსხვავებები გოგონებისა და ბიჭების მხარდაჭერის ხარისხში	**საერთო (%)**
დიახ, ორივეს მხარდაჭერა თანაბარია	73%
არა, არსებობს განსხვავებები მხარდაჭერის ხარისხში	27%

კვლევის ერთ-ერთი მონაწილე აღნიშნავს:

„გოგონების მიმართ მხარდაჭერა, ასე რომ ვთქვათ, ნაკლებია, რადგან ამ შემთხვევაში გოგონებს ადანაშაულებენ. აი, ბიჭებს კი მსგავს რაღაცებში - ნაკლებად“ (გოგო, 15 წლის).

ეს ცხადჰყოფს, რომ მხარდაჭერის ხარისხი მკვეთრად არის განსაზღვრული გენდერული ფაქტორებით. გოგონები მეტად შიშობენ, რომ, შესაძლოა, მათი გამოცდილება სათანადოდ ვერ აღიქვან, ან მათ დააბრალონ მათზე განხორციელებული ონლაინ ძალადობა, რის გამოც ისინი თავს იკავებენ დახმარებისთვის მიმართვისგან. ამ გარემოებამ შეიძლება კიდევ უფრო გაამძაფროს მათი დაუცველობა და ონლაინ ძალადობისგან გამოწვეული ნეგატიური ზეგავლენა.

ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით:

„არ მაქვს პასუხი... გოგოებს უფრო მეტს გვთხოვენ. ისე, გენდერული სტერეოტიპები ჯერ კიდევ არსებობს“ (გოგო, 16 წლის).

„ალბათ არსებობს განსხვავება... ბიჭებს ეს საქმე შედარებით უადვილდებათ, ხოლო გოგონების შემთხვევაში უფრო რთულია. ხშირ შემთხვევაში მხარდაჭერა არ აქვთ და თითქოს ყველაფერიც მათ ბრალდება“ (ბიჭი, 17 წლის).

3. პრევენცია და რეაგირება

3.1. ახალგაზრდების ინფორმირებულობა დახმარების სერვისების და მხარდაჭერის გზებზე

კვლევის მონაცემებით, **ახალგაზრდების უმეტესობა ფლობს ინფორმაციას ონლაინ ძალადობის შემთხვევების დროს დახმარების შესაძლო სერვისებზე. ცნობადობის ყველაზე მაღალი დონით გამოირჩევა პოლიცია (შემთხვევათა 63.4%) და ფსიქოლოგი (შემთხ. 60.7%).** თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ეს არ ნიშნავს სერვისებზე წვდომას ან მათ ეფექტიან გამოყენებას. მოზარდები **მასწავლებლებს (შემთხ. 28.3%) და მანდატურებს (შემთხ. 32.5%) ყველაზე ნაკლებად აღიქვამენ ონლაინ ძალადობაზე რეაგირების და დახმარების გამწევ აქტორებად.** ეს, შესაძლოა, გამოწვეული იყოს იმით, რომ **სკოლებში შესაბამისი რეაგირების მექანიზმები ან ნაკლებად არსებობს, ან მოსწავლეები მათ ეფექტიანობას არ აღიქვამენ.**

ცხრილი 8: დახმარების სერვისებზე ინფორმირებულობა

დახმარების სერვისებზე ინფორმირებულობა	**ცნობადობა (%)**
ფსიქოლოგი	**60.7%**
პოლიცია	**63.4%**
არასამთავრობო ორგანიზაცია	**45.5%**
მანდატური	**32.5%**
პედაგოგი	**28.3%**

3.2. ონლაინ ძალადობის პრევენცია და რეაგირება

კვლევამ ასევე გამოავლინა, თუ რა ზომებს მიიჩნევენ მოზარდები ყველაზე ეფექტიანად ონლაინ ძალადობის პრევენციისა და რეაგირებისთვის:

ცხრილი # 9. ონლაინ ძალადობის პრევენცია და დაცვის გზები

პრევენციის და რეაგირების ზომები	**საერთო (%)**	**გოგოები (%)**	**ბიჭები (%)**
განათლების გაძლიერება კიბერუსაფრთხოებაზე	**56.8%**	**65.1%**	**34.5%**
ონლაინ ქცევის წესების და რეგულაციების გამკაცრება	**43.8%**	**50.8%**	**28.7%**
მშობლების უფრო აქტიური ჩართულობა	**42.7%**	**52.3%**	**31.2%**
სკოლაში ფსიქოლოგიური მხარდაჭერის გაძლიერება	**40.6%**	**47.6%**	**24.5%**
ცნობიერების ამაღლების კამპანიების ჩატარება	**28.1%**	**33.2%**	**17.9%**
კანონმდებლობის გამკაცრება	27.3%	38.1%	21.6%

მოსწავლეების აზრით, **ყველაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება კიბერუსაფრთხოების შესახებ განათლებას (56.8%),** განსაკუთრებით - გოგონებში (65.1%), რაც, შესაძლოა, იმის მანიშნებელი იყოს, რომ **ისინი თავს უფრო დაუცველად გრძნობენ ონლაინ სივრცეში და ინფორმაციის ნაკლებობა დამატებით ზრდის მათ შიშს და რისკებს.**

ამასთანავე, **ონლაინ ქცევის წესების და რეგულაციების გამკაცრება (43.8%) და მშობ-ლების ჩართულობა (42.7%)** მეორე და მესამე პრიორიტეტული მიმართულებებია (იხ. ცხრილი # 9).

განსაკუთრებით ყურადსაღებია, რომ **გოგონები გაცილებით მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ უსაფრთხოების პოლიტიკის გამკაცრებას (50.8%), მშობლების აქტიურ ჩართულობას (52.3%) და სკოლაში ფსიქოლოგიური მხარდაჭერის გაძლიერებას (47.6%).** მათი მაღალი ინტერესის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ გოგონები ხშირად განიცდიან ონლაინ ძალადობის ისეთი ფორმების ზემოქმედებას, როგორიცაა სექსუალური შევიწროება და გარეგნობასთან დაკავშირებული დამცინავი კომენტარები, რაც მათთვის ფსიქოლოგიური მხარდაჭერის საჭიროებას კიდევ უფრო კრიტიკულს ხდის.

დასკვნა და რეკომენდაციები

კვლევამ ცხადჰყო, რომ ონლაინ ძალადობა ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს, რომლის გენდერული განზომილება მკაფიოდ იკვეთება. სხვადასხვა ტიპის კიბერშევიწროება და ბულინგი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მოზარდების ფსიქიკურ მდგომარეობაზე, სოციალურ კავშირებსა და უსაფრთხოების განცდაზე. **გოგონები უფრო ხშირად აწყდებიან სექსუალურ შევიწროებას და გარეგნობასთან დაკავშირებულ შეურაცხყოფას, ხოლო ბიჭები - მუქარას და ჰაკერულ თავდასხმებს.** მხარდაჭერის მექანიზმების გამოყენება კვლავ დაბალია, რაც მიუთითებს როგორც სტიგმას, ისე არსებული მხარდაჭერის ნაკლებ ეფექტიანობაზე. პრევენცია და რეაგირება მოითხოვს **ცნობიერების გაზრდას და ოჯახის, სკოლის, არასამთავრობო სექტორის და სამართალდამცავი სტრუქტურების კოორდინირებულ მოქმედებას.**

- **ციფრული განათლება:** კიბერუსაფრთხოებისა და ონლაინ ძალადობის პრევენციის ინტეგრაცია სასკოლო პროგრამებში, განსაკუთრებით გოგონებისთვის, რომლებიც თავს უფრო დაუცველად გრძნობენ;
- **მასწავლებლების და სკოლის პერსონალის მომზადება:** მათი როლის გაძლიერება, რათა მოსწავლეები მეტად ენდონ მათ და აღიქვან მხარდაჭერის სანდო წყაროდ;
- **მშობლების ჩართულობა:** ცნობიერების ამაღლების კამპანიების და საგანმანათლებლო სესიების ორგანიზება, რათა მშობლები იყვნენ არა „დამსჯელი ორგანო," არამედ - უსაფრთხო სივრცე შვილებისთვის;
- **კანონმდებლობის და რეგულაციების გამკაცრება:** არასრულწლოვანთა ონლაინ დაცვასთან დაკავშირებული პოლიტიკის გაუმჯობესება და სოციალური მედიის პლატფორმებზე რეგულაციების გაძლიერება;
- **ფსიქოლოგიური მხარდაჭერის გაძლიერება:** სკოლებში ფსიქოლოგიური სერვისების გაფართოება და მათი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

ქალთა ფონდი „სოხუმი“

სწრაფი მოკვლევის ანგარიშზე მუშაობდა
ქალთა ფონდი „სოხუმის“ თბილისის წარმომადგენლობა:

ეკატერინე გამახარია

ლიდა ჩიხლაძე (მონაცემების სისტემატიზაცია)

მონაცემების შეგროვებაზე მუშაობდნენ:
ანჟელა ჩიხლაძე, ლელა შენგელია

რედაქტორი ლალი შენგელია

დამკაბადონებელი ლია კოსტავა

მისამართები:
ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. #29 ბ,
საოფისე ფართი #2
ქ. ქუთაისი, მგალობლიშვილის ქ. 6

fundsukhumitbilisi@gmail.com
womansukhumi@gmail.com

www.fsokhumi.ge

www.facebook.com/fsokhumi/
www.facebook.com/WFSTbilisiOffice